ამხანაგობის სადამფუძნებლო კრების ოქმი №1

ქ. თბილისი 2008წლის "18" მარტი

2008 წლის 18 მარტს მოწვეული იქნა ამხანაგობის სადამფუძნებლო კრება.

კრებას ესწრებოდნენ: დამფუძნებელი პარტნიორები: **კახაბერ ბრეგვაძე, ლაშა ბრეგვაძე და ალკაზარ კაკულია, ალექსანდრე ნოზაძე და ქეთევან კურტანიძე;**

დღის წესრიგი: 1. ამხანაგობის შექმნა და მისთვის სახელის შერჩევა
2. ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა
3. ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების განხილვა და მიღება.

მოისმინეს: ბატონ **ლაშა ბრეგვაძის** ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა მოქალაქეებმა გადავწყვიტეთ ჩამოვაყალიბოთ ამხანაგობა ბინათმშენებლობისათვის.

კახაბერ ბრეგვაძეს და ლაშა ბრეგვაძეს საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება კერძოდ 1330კვ.მ. მიწის ნაკვეთი: მდებარე **ქ. თბილისი, ზემო ვაკის ქუჩის ბოლოში,** რომელსაც გადასცემს ამხანაგობას საკუთრებაში და სანაცვლოდ მიიღებენ ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-.2 პუნქტის თანახმად ფართებს, ხოლო **ალკაზარ კაკულია, ალექსანდრე ნოზაძე და ქეთევან კურტანიძე** იღებენ ვალდებულებას დააფინანსოს მშენებლობა, უზრუნველყოს მათი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები, აღნიშნულ მისამართზე.

მანვე შემოიტანა წინადადება ამხანაგობას დაერქვას სახელწოდება: ამხანაგობა **"ზემო ვაკე 52".**

ამხანაგობის თავმჯდომარედ დასახელდა **ლაშა ბრეგვაძის** კანდიდატურა.

კრებაზე წარმოდგენილი და განხილული იქნა ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: 1. ჩამოყალიბდეს ამხანაგობა და მას ეწოდოს სახელწოდება: ამხანაგობა **"ზემო ვაკე 52".**
2. ამხანაგობა **"ზემო ვაკე 52"**-ს ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეული იქნეს **ლაშა ბრეგვაძე** (დაბ. 27.07.1969წ. ლაგოდეხში, მცხ. ქ. თბილისი, ფასანაურის ქ. №14 ა/მ №ბ 0717352, პირადი №01017006098 გაც. ქ. თბილისის მთაწმინდის სმრს-მიერ 26.07.05წ.) და მასვე მიენიჭოს სრული უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში.
3. მიღებული იქნეს ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება წარმოდგენილი სახით.

კრების თავმჯდომარე _____ ალკაზარ კაკულია

კრების მდივანი _____ ალექსანდრე ნოზაძე

ქ. თბილისი ორიათას რვა წლის თვრამეტი მარტი

ორიათას რვა წლის თვრამეტ მარტს მე ნოტარიუს **ნანა ბაკურაძეს** ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76, პირველი სართული, მომმართეს **ამხანაგობა "ზემო ვაკე 52"-ს** კრების თავმჯდომარე **ალკაზარ კაკულიამ** და კრების მდივანმა **ალექსანდრე ნოზაძემ,** რომლებმაც მოითხოვეს 2008 წლის მარტში **ამხანაგობა "ზემო ვაკე 52"-ს** სადამფუძნებლო კრების ოქმ №1-ზე თავიანთი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და დავრწმუდი, რომ ნამდვილად **ალკაზარ კაკულიამ** (დაბ. 29.06.1937წ. ფოთში, მცხ. ქ. თბილისი საბურთალოს ქუჩა №40, კორპ. 1, ბინა №34, პ/მ №დ 0140563, პირადი №01024015782 გაც. ქ. თბილისის საბურთალოს რ-ნის შსს მიერ 05.07.1996წ) და **ალექსანდრე ნოზაძემ** (დაბ. 02.04.1942წ. ხაშურში, მცხ. ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა №25, პ/მ №გ 0055089, პირადი №01024002487 გაც. ქ. თბილისის საბურთალოს რ-ნის შსგ მიერ 28.03.1995წ.) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მათ განაცხადეს, რომ კრების ოქმი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას, შემდეგ **ალკაზარ კაკულიამ და ალექსანდრე ნოზაძემ** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე კრების ოქმს.

რეგისტრირებულია რეესტრში № 1-1327

გადახდილია სანოტარო დღგ-ს ჩათვლით 24 ლარი

ნოტარიუსი: ნ. ბაკურაძე